სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №114/01-01, 30.06. 2016წ.
დანართი №1

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში პარიზი 8-უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2016-2016 სასწავლო წლისათვის.

2. კანდიდატი
კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. კანდიდატების შერჩევა
ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
1. მოტივაცია
2. ზეპირი პრეზენტაცია

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა
სტიპენდიატების გამოვლენა ხდება შესარჩევი კომისიის შეფასების საფუძველზე.